საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/184
18/01/2024

184-01-2-202401181307

მოქალაქე ინგა ჭოჭუას [redacted]

მის.: ქ. თბილისი, [redacted]

ტელ.: 5972932[redacted]

ელ-ფოსტა: [redacted]

ქალბატონო ინგა,

2024 წლის 16 იანვრის №01/228 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება). დამატებით გაცნობებთ, რომ პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი შესაბამისი განცხადების ფორმის მოძიება შესაძლებელია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე: https://gcca.gov.ge/index.php?m=401

ამასთან, პროცედურის მეოთხე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, სააგენტო განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) განმცხადებლის სახელს (სახელი, გვარი/დასახელება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია); ბ) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებლის წარმომადგენლის სახელს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია); გ) მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია); დ) დეტალურ ინფორმაციას კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფაქტების, გარემოებების ან/და

მტკიცებულებების მითითებით; ასევე, ინფორმაციას სავარაუდო დარღვევის ჯგუფურ ხასიათზე; ე) მტკიცებულებათა ნუსხას, რომელიც ადასტურებს წინა ქვეპუნქტში მოცემულ გარემოებებს (არსებობის შემთხვევაში); ვ) მოთხოვნას გარკვეული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარების შესახებ (არსებობის შემთხვევაში); ზ) დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც ერთვის განცხადებას; თ) მითითებას განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე; ი) განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. ხოლო თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადებით ვერ დგინდება მოვაჭრის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, მისამართი, ინფომაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შესაბამისი ფაქტების, გარემოებების ან/და მტკიცებულებების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,** წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე